

„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ – GSPSA



www.gspsa.org.ge

ადრესანტი:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი ირაკლი კობახიძე

საქართველო, თბილისი 2017 წლის 4 ოქტომბერი

„საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ – GSPSA - ის

პ ე ტ ი ც ი ა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის „ცხოველისადმი სასტიკი ქმედება“ გამკაცრების მოთხოვნის შესახებ

ეს პეტიცია ხელმოწერილია 2017 წლის 4 ოქტომბერს, მსოფლიოს ცხოველთა დღეს (<http://www.worldanimalday.org.uk/>). ამ დღეს მსოფლიოში ყველა ცხოველთა დამცველი და მოყვარული ერთიანდება იმისთვის, რომ ცოტათი მაინც ხელი შეუწყონ ცხოველებისათვის უკეთესი გარემოს ჩამოყალიბებას. მსოფლიოს ცხოველთა დღე აღინიშნება მთელ მსოფლიოში განურჩევლად ეროვნებისა, რელიგიისა, რწმენისა და პოლიტიკური შეხედულებისა.

ჩვენ, „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“- GSPSA, ვისთვისაც ღირებული და მნიშვნელოვანია მსოფლიოს ცივილიზირებული ქვეყნების ხალხთა საერთო ინტერესები, მოგმართავთ თქვენ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ჩვენს ქვეყანაში ცხოველთა ყოფისა და დაცვის მექანიზმების ამოქმედებისათვის აუცილებელი გადაწყვეტილებების მისაღებად, რასაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ეკოსისტემის ჰუმანური წესებით მართვის დამკვიდრებაში.

საქართველო არ არის მიერთებული ცხოველთა უზრუნველყოფ საერთაშორისო კონვენციებსა და სხვა აქტებს. ქვეყნის შიგნით არ არის დარეგულირებული ცხოველთა დაცვისა და სასტიკი მოპყრობის აღმოფხვრის საკითხები, არ არსებობს სახელმწიფო კანონები ცხოველთა დაცვის სფეროში, თუ არ ჩავთვლით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლს, რომელიც თავისი შინაარსიდან გამომდინარე „მკვდარი“ მუხლია და მისი გამოყენება არ დაფიქსირებულა ერთეული შემთხვევების გარდა, მიუხედავად ცხოველთა მიმართ სისასტიკის მასობრივი ხასიათისა. არ ხდება ცხოველების მიმართ აგრესიულად განწყობილი ადამიანების წინააღმდეგ რაიმე გონივრული და მკაცრი ზომების მიღება, რაც არა მარტო შესაბამისი კანონის „ღმობიერების“ გამოა, არამედ სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა ცხოველებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების შედეგაცაა.

სამწუხაროდ, საქართველოში შინაური ცხოველებისადმი სისასტიკემ და წვალებამ უკვე ფესვები გაიდგა, სახელმწიფოს კი არა აქვს რაიმე პროგრამა, რაც მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას დაისახავდა მიზნად. ძალზე ხშირია კომპანიონი ცხოველების (ძაღლი, კატა) მოვლა-პატრონობის წესების დარღვევა, რაც შემდგომ იწვევს ცხოველის ფსიქიკისა და ჯანმრთელობის დაზიანებას, რაც უმეტეს შემთხვევაში კი ცხოველის ტანჯვითა და სიკვდილით მთავრდება. ძაღლების უმრავლესობა ძირითადად სოფლებში მუდმივად დაბმულია, ხშირ შემთხვევაში სახლის, შესაბამისი საკვებისა და დაწყურვების გარეშე. ქალაქად ბევრი ცხოველი დატყვევებულია სარდაფებსა და ავტოფარეხებში. ხდება ცხოველების უკონტროლო და არაპროფესიონალური გამრავლება, რის შედეგადაც გაჩენილ ლეკვებსა და კნუტებს წყალში ყრიან დასახრჩობად, ხოცავენ სხვა ხერხით, ქუჩაში უშვებენ ან სხვაგვარ სისასტიკეს სჩადიან მათ მიმართ. რეგიონებში პრაქტიკულად არ ხორციელდება ვეტერინარული მომსახურება, რის გამოც განსაკუთრებულად ხშირია პირად საკუთრებაში არსებული ცხოველების დაავადება, ხოლო დაავადებული ცხოველის მოსამორებლად პატრონი ან ქუჩაში აგდებს ცხოველს, ან კლავს სასტიკი მეთოდით.

საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული მსხვერპლშეწირვის ადათი. ადამიანები ტაძრის ეზოში ან რომელიმე მათთვის წმიდა ადგილზე ხოცავენ „საკლავს“ - ცხოველებსა და ფრინველებს, შემდეგ იქვე იმართება ღრეობა და ხშირ შემთხვევაში ეს „დღესასწაულობა“ ჩხუბითა და სისხლისღვრით მთავრდება. ეს ადგილები მორწყულია შეწირული ცხოველების სისხლით, მოჭრილი თავებითა და სხეულის სხვა ნაწილებით. ცხოველებისადმი ეს სისასტიკე ხდება ბავშვების თანდასწრებით. სამწუხაროდ, ამ ადათის აღსაკვეთად ეკლესია არ მოუწოდებს მრევლს, ხოლო სახელმწიფოს შესაბამისი სტრუქტურებისა და სამართალდამცავებისგან არასდროს ყოფილა რაიმე რეაგირება.

მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ძაღლების ორთაბრძოლები მეიკუთვნება ცხოველისადმი სისასტიკის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის კატეგორიას. საქართველოში ძაღლების ორთაბრძოლას ბევრი მოყვარული ჰყავს და ჯერ არავინ დასჯილა ამ „სპორტული ღონისძიების“ ორგანიზების, მონაწილეობისა და ჩატარებისათვის. საჭიროა ამ მიმართულებით კანონმდებლობის შემუშავება და აღსრულება.

ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობისთვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსები. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის თანახმად, ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობა, რამაც მისი დაღუპვა ან დასახიჩრება გამოიწვია, აგრეთვე ცხოველის წვალება ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ხოლო იგივე ქმედება

ჩადენილი ჯგუფურად, არაერთგზის ან მცირეწლოვნის თანდასწრებით ისჯება ჯარიმით, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 104-ე მუხლის თანახმად ცხოველისადმი და ფრინველისადმი სასტიკი მოპყრობა, რასაც მათი დაღუპვა ან დასახიჩრება მოჰყვება, აგრეთვე ცხოველებისა და ფრინველების წვალემა გამოიწვევს დაჯარიმებას შრომის ანაზღაურების ერთ მინიმალურ ოდენობამდე.

ორივე კოდექსით ერთი და იგივე ქმედების დარეგულირება კიდევ უფრო ართულებს ისედაც მძიმე ვითარებას. აუცილებელია ცხოველისადმი სისასტიკე გახდეს მხოლოდ სისხლის სამართლის წესით დასჯადი და უკეთ განიმარტოს საკუთრივ ქმედება.

კანონში არ არის განსაზღვრული სისასტიკის ფორმები, რაც ბევრ გაუგებრობას ქმნის და სამართალდამცავი და საგამომიებო ორგანოები ხშირად ვერ აკვალიფიცირებენ კონკრეტულ ქმედებას. კანონი ნათლად უნდა აყალიბებდეს ცხოველისადმი სისასტიკის, წვალეებისა და ტანჯვის ცნებებს. ხშირად საკუთრებაში მყოფი ცხოველების მოვლა-პატრონობის წესების დარღვევაც იწვევს ცხოველის ტანჯვას, ზოგჯერ კი მის სიკვდილს. აუცილებელია სისასტიკის ფორმების ჩამოყალიბება შესაბამის სპეციალისტებთან ერთად - მათ შორის, ცხოველისათვის ფსიქიკური ტრავმის მიყენება, რაც საერთაშორისო პრაქტიკით მიჩნეულია სისასტიკის ფორმად.

გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლი არ არის საკმარისად მკაცრი და არ უზრუნველყოფს ცხოველის დაცვას. ცხოველის შეგნებულად წვალეების ან მოკვლის შემთხვევაში სანქცია უნდა ითვალისწინებდეს თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ 5 წლის ვადით. საჭროა ამ მიმართულების სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა და გაზიარება.

IDFI -მა (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი - <https://idfi.ge>) 2017 წლის მაისში გამოაქვეყნა ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის სტატისტიკა საქართველოში. IDFI -ის კვლევისა და შეფასების დოკუმენტში აღნიშნულია: „სამწუხაროდ, ცხოველთა დაცვის გლობალური რეიტინგით არ არის შეფასებული საქართველოში არსებული მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უზენაესი სასამართლოდან მიღებული მონაცემების თანახმად საქართველოში ცხოველთა წინააღმდეგ ძალადობის ძალზედ მცირე რაოდენობით შემთხვევები ფიქსირდება, ვფიქრობთ, ეს ვერ იქნება ქვეყანაში ცხოველთა დაცვის მხრივ არსებული რეალური სურათის ამსახველი. საქართველოში ცხოველთა დაცვის უზრუნველსაყოფად უპირველესყოვლისა აუცილებელია მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ცხოველთა დაცვის შესახებ. მნიშვნელოვანია, შესაბამისი უწყებების მიერ (შსს, საქართველოს მთავარი პროკურატურა, საქართველოს უზენაესი სასამართლო) პროაქტიულად ხდებოდეს საზოგადოების ინფორმირება ცხოველთა დაცვის კუთხით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ.“

აუცილებელ პირობად მიგვაჩნია მიღებული იქნას ცხოველთა კეთილდღეობის ეროვნული სტრატეგია, რომლის მიზანიც იქნება სახელმწიფოს დამოკიდებულების განსაზღვრა შინაური (როგორც ფერმის, ისე პარტნიორი, კომპანიონი) ცხოველების მიმართ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, ვინაიდან ემსახურება ევროსივრცეში ინტეგრაციასა და ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან დაახლოებას.

აუცილებელია, რომ სტრატეგია ემყარებოდეს ჰუმანურ პრინციპებს, რაც გაუმართლებლად მიიჩნევა ცხოველებისათვის უმიზნო ტკივილის მიყენებასა და სტრესის გამოწვევას.

მოცემული სტრატეგია ასევე უნდა ითვალისწინებდეს ცხოველებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობების სტანდარტების შემუშავებისა და ცხოველთა ჭარბი პოპულაციების ჰუმანურ მართვის საკითხებს.

ააიპ „საქართველოს ცხოველთა დაცვის და გადარჩენის საზოგადოება“ და მოქალაქეთა ინტელექტუალური ნაწილი შემფოთებულნი ვართ ცხოველთა მიმართ უკიდურესი სისასტიკით. მოვუწოდებთ ქვეყნის ხელისუფლებას საკითხი გადაწყვიტონ ცივილიზებული და ჰუმანური ფორმით, მოახდინონ ამ სფეროში კანონმდებლობის მოწესრიგება. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო და ხელისუფლება უნდა დაფიქრდეს, რაიმე იღონოს ჰუმანური სტრატეგიების წარმატებით გატარებისათვის და შეიმუშავოთ სახელმწიფო პროგრამა ევროპული სტანდარტების მიხედვით.

ამ პეტიციით ჩვენ საქართველოს პარლამენტისგან მოვითხოვთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის „ცხოველისადმი სასტიკი ქმედება“ გამკაცრებას.

მოვითხოვთ, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ აიღოს სწორი გეზი ცხოველთა მიმართ სისასტიკის დაცვის მექანიზმის უზრუნველსაყოფად. აუცილებელია, საქართველომ საერთაშორისო დონეზე დააფიქსიროს საკუთარი მზადყოფნა, დაიცვას ცხოველები და შეუერთდეს შინაურ ცხოველთა დაცვის ევრო კონვენციას.

პატივისცემით,



თეიმურაზ ჩიქორიძე

თავმჯდომარე

ააიპ „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“ – GSPSA
www.gspsa.org.ge